აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №12

10/10/2024 წელი **ქ. ბათუმი**
18⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;
ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;
მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;
თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;
სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი - პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;
ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;
ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;
გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“.

არ ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;
ციალა შავაძე - უსკოს წევრი;
ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;

ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები უსკოში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ;

3. განკარგულება
საარჩევნო ბიულეტენისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10 ;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ;

3. განკარგულება
საარჩევნო ბიულეტენისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე.

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის

თანახმად, უსკო ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს რის შემდეგაც კომისიას წარუდგინა უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის პროპორციული არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები: ბიულეტენის თავფურცელი; ბიულეტენი; საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი; საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი; საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი; საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი; საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) პროპორციული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა № 2-07.01.03)

ბ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა 2-07.02.03);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმატი A2) (ფორმა №1-07.01.03);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1-07.02.03);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.03.03);

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო პროპორციული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.04.03);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1-07.05.03);

თ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.06.03);

ი) საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლის მოწმობა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

18:09 სთ.
სხდომაზე გამოცხადდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - კახაბერ ჯაიანი

2. განკარგულება
ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ამ შემთხვევაში ბიულეტენის ტექსტს განკარგულებით ადგენს უსკო, რომელიც ეგზავნება ცესკოს შემდგომში ბიულეტენის საბოლოო ტექსტის დადგენის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 72^4 მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნების, ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ბიულეტენისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ბიულეტენის და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესის დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის წევრებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის უსკოს მიერ რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს. სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელ ორგანიზაციებს შესთავაზა ხომ არ აქვთ სურვილი დაესწრონ მათი

ორგანიზაციის დამკვირვებლები ბიულეტენის და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესს. უსკოში რეგისტრირებულმა ა(ა)იპ „საქართველო კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ და ა(ა)იპ „ქალის როლი საზოგადოებისთვის“ დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მათი წარმომადგენლები დააკვირდებოდნენ ბიულეტენისა და ოქმების ბეჭდვის პროცესს, რის შემდეგაც სხდომაზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს კომისიის წევრებიდან დააკვირდებოდნენ უსკოს წევრები - მარიამ გუგუნავა და თამარ ქამადაძე, ხოლო დამკვირვებელი ორგანიზაციებიდან ა(ა)იპ ,,საქართველო კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ დამკვირვებელი მერაბ ღოღობერიძე და ა(ა)იპ ,,ქალის როლი საზოგადოებისთვის“ ხათუნა ბერიძე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ბიულეტენის და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 63-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-60 მუხლისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლებად დაინიშნონ:

ა) მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ბ) თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

გ) მერაბ ღოღობერიძე - დამკვირვებელი ა.(ა).ი.პ „საქართველო კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“;

დ) ხათუნა ბერიძე - დამკვირვებელი ა.(ა).ი.პ „ქალის როლი საზოგადოებისათვის“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**